2 აპრილი, 2015

№-42

ქ. თბილისის მერიის

არქიტექტურის სამსახურს

მოგახსენებთ, რომ ქსნის ქუჩა 36-ში (ს/ნ 01.12.08.002.003), საპროექტო ტერიტორიაზე ნახაზით ფიქსირდება ხაზოვანი ნაგებობა (ს/კ 01.01.755), რომლის მესაკუთრეა სახელმწიფო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ს, რომლის განცხადებითაც კანალიზაციის მილს (ხაზოვანი ნაგებობა ს/კ 01.01.755) ექსპლუატაციას უწევს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“.

მას შემდეგ, რაც წერილობით მივმართეთ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“-ს, საპროექტო ტერიტორიაზე გამოცხადდა სპეციალური ჯგუფი, რომელთაც აწარმოეს გათხრითი სამუშაოები. შედეგად აღმოჩნდა, რომ კანალიზაციის მილი (ს/კ 01.01.755) არ გაედინება საპროექტო ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, დგინდება, რომ ნახაზზე ხაზოვანი ნაგებობა (კანალიზაციის მილი ს/ლ 01.01.755) არის შეცდომით დატანილი (ამ ფაქტის გასამყარებლად დანართის სახით შეგიძლიათ იხილოთ ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა და სს ლელოს მიმოწერა).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და მოგვცეთ მშენებლობის ნებართვა.

პატივისცემით,

სს „ლელო“-ს დირექტორი:

გესიკ ახალაძე

JSC LELO 200002745
36 Ksani Street, 0141, Tbilisi, Georgia
Web: www.ware-house.ge

Tel: +995 32-2 907 709
Fax: +995 32-2 607 323
E-mail: info@ware-house.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.01.755

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882013590971 - 29/11/2013 16:43:53

მომზადების თარიღი
10/12/2013 10:30:53

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	საბოვანი ობიექტი
01	01	755

ობიექტის ტიპი: მილსადენი
ობიექტის აღწერა: კანალიზაციის მილი
ობიექტის სიგრძე: **522476 მ.**
დაფარვის ზონა: თბილისი
საკუთრების ტიპი: **საკუთრება**
ღამატებითი მახასიათებლები:
წინა საკადასტრო კოდი :

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **882013590971** , თარიღი **29/11/2013 16:43:53**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **10/12/2013**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-999 , დამოწმების თარიღი:01/11/2013 ,სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე: აღწერა:
სახელმწიფო

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

LOGISTICS COMPANY

JSC LELO

№-12

3 თებერვალი, 2015წ.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს
ადმინისტრაციას

შეგახსენებთ, რომ თქვენი 2014 წლის 10 ოქტომბრის N9623/09 წერილის (იხ. თანდართული წერილი) თანახმად, სს“ლელო“–ს (ქსნის ქუჩა N36, ს/კ 01.12.08.002.003) ტერიტორიაზე გაედინება 500 მმ დიამეტრის მოქმედი საკანალიზაციო კოლექტორი (ს/კ 01.01.755). ამის შემდგომ, თქვენს წარმომადგენელთან (ჯონდი ბაბუნაშვილი) ერთად მოხდა ჩვენი ტერიტორიის შემოწმება-გათხრა და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული საკანალიზაციო კოლექტორი არ არსებობს. ტერიტორიის ფიზიკური შემოწმების შემდგომ თქვენგან ველოდით დასტურს ტერიტორიაზე ქსელის (ს/კ 01.01.755) არ არსებობასთან დაკავშირებით, რომლის ნაცვლად მივიღეთ პასუხი (იხ. თანდართული წერილი), სადაც მითითებულია, რომ ქსელი არსებობს თუმცა დღეისთვის არ არის მოქმედი.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გთხოვთ, წერილობით დაგვიდასტუროთ რომ ჩვენს ტერიტორიაზე არ გადის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს ექსპლუატაციის ქვეშ მყოფი ქსელი (ს/კ 01.01.755).

სს „ლელო“-ს დირექტორი:

ბესიკ ახალაძე

SC LELO 200002745
6, Ksani Street 0141 Tbilisi Georgia.
el. +995 32 -2 907 709, Fax +995 32-2 607 323 info@ware-house.ge
ww.ware-house.ge

№ 1057/09 D 06 02 15

შს "ლელო"-ს დირექტორს
ბატონ ბესიკ ახალაძეს,
ქსნის ქუჩა N36, 01-12-08-002/003

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი წერილი Nკ-12, დათარიღებული 3.02.15 წ. დარეგისტრირებული №1168/04, 03.02.15 წ.

კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დღეისათვის მოქმედი, შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს ექსპლოატაციის ქვეშ მყოფი საკანალიზაციო კოლექტორი არ გაედინება.

პატივისცემით,

კონსტანტინე ღამბაშიძე

ახალი მიერთებების ჯგუფის უფროსი სპეციალისტი/წამყვანი